

საქართველოს ეროვნული ბანკის რისკებზე დაფუძნებული  
საზედამხედველო ჩარჩო - რისკების შეფასების საერთო  
პროგრამა (GRAPE)

# შინაარსი

შესავალი.....	1
რისკების შეფასების პროცესი.....	4
პოტენციური ზეგავლენა.....	4
რისკების შეფასება.....	5
1. საკრედიტო რისკი .....	6
2. ლიკვიდობის რისკი .....	7
3. საბაზრო რისკი.....	7
4. საოპერაციო რისკი.....	8
5. ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა .....	9
6. მაკროეკონომიკური გარემო .....	9
7. ჯგუფის სტრუქტურა.....	10
8. კორპორაციული მართვა .....	10
9. საერთო რისკი რესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდგომ.....	12
საზედამხედველო სტრეს ტესტების როლი შეფასებაში .....	12
შეფასებაში გამოყენებული კრიტერიუმები.....	12
საზედამხედველო ყურადღების დონე.....	13
საზედამხედველო ღონისძიებები .....	14
საზედამხედველო ქმედებები .....	14
პილარ 2 .....	14
რესურსების განაწილება .....	16
რისკებზე დაფუძნებული სტრუქტურული მოწყობა .....	16
რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო პროცესი .....	18
შეფასებიდან შეფასებამდე პროცესი .....	20
მაკროპრუდენციული ხედვა .....	20

## შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანაა საფინანსო სექტორის სტაბილურობის ხელშეწყობა. ამ ამოცანის შესასრულებლად, სებ ზედამხედველობს საფინანსო სისტემის წარმომადგენელი სუბიექტების საქმიანობას<sup>1</sup>, ხელს უწყობს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, სისტემური რისკების კონტროლსა და პოტენციური რისკების შემცირებას. ვინაიდან ფინანსური სექტორის უდიდეს ნაწილს საბანკო სექტორი წარმოადგენს, დოკუმენტში აღწერილია საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის მსგავსი პრინციპები ახასიათებს სხვა ფინანსური ინსტიტუტების საზედამხედველო მიდგომასაც.

დოკუმენტის მიზანია, კომერციულ ბანკებს, ინვესტორებს, დეპოზიტორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს მივაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომების შესახებ, რათა ხელი შევუწყოთ საფინანსო სექტორში სწორი მოლოდინების შექმნასა და სექტორის პროციკლური ქცევის პრევენციას.

ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ფინანსური სისტემის (ფინანსური შუამავლები, ბაზარი და საბაზრო ინფრასტრუქტურა) მიერ საბაზისო ფუნქციების შესრულებას; ფინანსური სისტემის შოკების (როგორც შიდა, ისე გარე) შთანთქმის შესაძლებლობას; რისკების ზუსტ შეფასებასა და ეფექტიან მართვას - ისე რომ ფინანსური მომსახურების უზრუნველყოფა იყოს ზომიერი - არც ზედმეტად ჭარბი და არც ზედმეტად შეზღუდული. ამასთან, „ფინანსური სისტემა სტაბილურობის შუალედშია, როდესაც მას შეუძლია ხელი შეუწყოს (შეფერხების ნაცვლად) ეკონომიკის ფუნქციონირებას და შეამციროს ენდოგენურად ან მნიშვნელოვანად უარყოფითი და მოულოდნელი მოვლენებით გამოწვეული ფინანსური დისბალანსი.“<sup>2</sup> ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის ეფექტიანობასა და რისკებს შორის სწორი ბალანსის არსებობა, იმგვარად რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია და არ დაირღვეს რისკი-სარგებლის ბალანსი.

აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპების მიხედვით. ეს მიდგომა გულისხმობს მეტი საზედამხედველო რესურსის მიმართვას კომპლექსური ან რისკიანი ინსტიტუტებისა თუ ტრანზაქციებისათვის<sup>3</sup>. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, ეროვნული ბანკი ცდილობს, გამოკვეთოს და სათანადო საზედამხედველო ღონისძიებებით შეამციროს ის პოტენციურ რისკები, რომელმაც, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას საფინანსო სისტემის უსაფრთხო და ჯანსაღ ფუნქციონირებას. აღნიშნული არ გულისხმობს საფინანსო სისტემის მონაწილე რომელიმე ინსტიტუტის გაკოტრების თავიდან გარდაუვალ

<sup>1</sup> 2013 წლიდან ეროვნული ბანკის საზედამხედველო უფლებამოსილება ადარ ვრცელდება სადაზღვევო ორგანიზაციებზე. მათზე ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს დაეკისრა.

<sup>2</sup> „A financial system is in a range of stability whenever it is capable of facilitating (rather than impeding) the performance of an economy, and of dissipating financial imbalances that arise endogenously or as a result of significant adverse and unanticipated events.“

<sup>3</sup> საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის [„საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების თანახმად“](#) (2012) the Core Principles acknowledge that supervisors typically use a risk-based approach in which more time and resources are devoted to larger, more complex or riskier banks.

არიდებს, არამედ, გაკოტრების რისკებისა და საფრთხეების დროულად გამოვლენას და მათი რეალიზებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების მაქსიმალურ შემცირებას საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე.

რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, ეროვნული ბანკი იყენებს **პოტენციური ზეგავლენისა (impact) და რისკების შეფასების** მოდელს. აღნიშნული წარმოადგენს სეზ-ის რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ჩარჩოს - General Risk Assessment Program (GRAPE)<sup>4</sup>.

GRAPE<sup>5</sup> რისკებზე დაფუძნებულ ზედამხედველობის უწყვეტი ციკლია, რომლის მიზანია კომერციული ბანკების რისკების შეფასება და შესაბამისი საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა. მის საფუძველზე ფასდება თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი. კომერციული ბანკების რისკებისა და მათი პოტენციური ზეგავლენის შეფასების შემდეგ განისაზღვრება საზედამხედველო ყურადღებისა და ინტენსივობის დონე, იდენტიფიცირებული რისკების შემცირების საზედამხედველო ღონისძიებები.

რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის განხორციელებისას სეზ იყენებს შემდეგ პრინციპებს:

- **მატერიალურ რისკებზე კონცენტრირება** - იმ რისკებზე ფოკუსირება, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ფინანსური სექტორის სტაბილურობას ან დეპოზიტორების სახსრებს;
- **მომავალზე ორიენტირებული მიდგომა და ადრეული ინტერვენციები** - აღნიშნული გულისხმობს ზედამხედველის მიერ ბანკის ან საბანკო სექტორის საფრთხეებისა და პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და მათ აღმოსაფხვრელად სათანადო მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას;
- **რეგულირებად ფინანსურ ინსტიტუტებთან დიალოგი** - ფინანსური ინსტიტუტების მენეჯმენტი და მათი რისკებისადმი ტოლერანტობა განსაზღვრავს, როგორც კომერციული ბანკის საქმიანობის რისკიანობას, ასევე წარმოადგენს აღნიშნული რისკების მიტიგაციის<sup>6</sup> ერთ-ერთ საშუალებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტების სხვადასხვა რგოლის მენეჯმენტთან დიალოგი. აღნიშნული საშუალებას აძლევს ზედამხედველს, გაეცნოს ბანკის კულტურას, სტრატეგიასა და მოტივაციას. დიალოგმა ხელი უნდა შეუწყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და მენეჯმენტის მხრიდან ბანკში შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას, რისკების მართვის დახვეწას.
- **სისტემური საკითხების გათვალისწინება** - ეფექტიანი ზედამხედველობის პროცესში მიკროპრუდენციულ ელემენტებთან ერთად მაკროპრუდენციული ელემენტების

<sup>4</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო მიდგომები შეფასდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი FSAP მისიის ფარგლებში. [შეფასების დოკუმენტის](#) თანახმად: „The NBG developed an advanced supervisory approach that is comprehensive, forward looking, and risk-based, proportionate to the systemic relevance of supervised banks. It is comprehensive because it addresses all risks emanating from banks and the banking system. It is forward looking because it includes elements such as stress test, business model, corporate governance, and capital and contingency planning. It is risk-based because it focuses on the most important risks.” ... “The NBG made enormous progress in the supervisory tools and techniques they are using. In many ways the NBG’s approach is an example for other developed countries”

<sup>5</sup> GRAPE-ის წესი დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №32/04 ბრძანებით [„კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“](#).

<sup>6</sup> რისკის შემცირება, შერბილება

გამოყენება. აღნიშნული გულისხმობს ისეთი საკითხების გათვალისწინებას, როგორებიცაა მაკროეკონომიკური გარემო, ბიზნეს ტენდენციები, საბანკო სექტორის მონაცემების და ჯამური კონცენტრაციის გათვალისწინება და სხვა.

- **თანმიმდევრულობა, შესაბამისობა და თავსებადობა** - ბანკებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ერთნაირი მახასიათებლების მქონე ბანკების მონაცემთა დაჯგუფებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში თანმიმდევრული მოთხოვნების დაწესებას. აღნიშნული ასევე მოიცავს თითოეული ასეთი ინსტიტუტის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელი ინდიკატორების შედარებას ჯგუფის საშუალო მაჩვენებელთან.
- **შიდა რესურსების ეფექტიანი გამოყენება** - რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო პროცესი გულისხმობს საზედამხედველო რესურსების ყველაზე ეფექტიან გამოყენებას, წესებთან შესაბამისობის პასიური შეფასების პროცესის ნაცვლად რისკებსა და მათი მიტიგაციის გზებზე ფოკუსირებას.

ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის შესრულებაში ჩართული თითოეული თანამშრომელი (ზედამხედველი) კრიტიკულ როლს ასრულებს საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ზედამხედველს მოეთხოვება მაღალი სტანდარტების დაცვა საქმიანობის განხორციელების პროცესში. ზედამხედველობის სუბიექტისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში, თითოეული ზედამხედველი მოქმედებს შემდეგი ღირებულებების დაცვით:

- **პროფესიონალიზმი**
  - დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების მაღალი ხარისხით შესრულება;
  - გადაწყვეტილებების მიღება სრულყოფილი და ღრმა ანალიზის შედეგად;
  - მიღებული გადაწყვეტილების პატივისცემა და მუშაობა სასურველი შედეგების მისაღწევად;
  - დროული და პრაქტიკული შედეგების მიღწევა, უზრუნველყოფა იმისა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგად მიღებული სარგებელი აჭარბებს დანახარჯებს.
- **კეთილსინდისიერება**
  - პასუხისმგებლობა საკუთარ განცხადებებსა და დაპირებებზე;
  - უფლებამოსილებისა და ძალაუფლების დაბალანსებული და სამართლიანი გამოყენება;
  - მიუკერძოებლობა გადაწყვეტილებების მიღებისას და მოვალეობების შესრულებისას;
  - კონფიდენციალურობის დაცვა.
- **თანამშრომლობა**
  - სხვების შეხედულებების პატივისცემა და დაფასება, როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ასევე მის გარეთ;
  - კოლეგების დახმარება და თანამშრომლობა მათ მიერ ჯანსაღი გადაწყვეტილებებისა და წარმატებული შედეგების მიღების მიზნით.
- **მომავალზე ორიენტირებულობა**
  - მომავალზე ორიენტირებული ანალიზი;
  - ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენება პოტენციური პრობლემების გამოსავლენად და, საჭიროების შემთხვევაში, გამოსასწორებელი ღონისძიებების დროული განხორციელება.
  - განვითარების კვალდაკვალ სვლა ახალი უნარების შესაძენად და ცოდნის გასაღრმავებლად.

- ანგარიშვალდებულება

- საკუთარ გადაწყვეტილებებსა და შედეგებზე პასუხისმგებლობა;
- რთული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში, მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებაზე უარის არ თქმა;
- იმავე ან უფრო მაღალი სტანდარტებით მოქმედება, რითაც ხელმძღვანელობენ რეგულირებადი სუბიექტები;
- კრიტიკული შენიშვნების მიმართ მზაობა და სწრაფი რეაგირება საკუთარ საქმიანობაში აღმოჩენილ ხარვეზებზე.

დოკუმენტის შემდეგი ნაწილები აღწერს რისკებისა და პოტენციური ზეგავლენის შეფასებებში გამოყენებულ პრინციპებს და მათი კომბინაციით განსაზღვრულ საზედამხედველო ყურადღების დონეს. ასევე, რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის ფარგლებში, მიღებული საზედამხედველო ყურადღების დონის საფუძველზე საზედამხედველო რესურსების განაწილებას და საზედამხედველო ქმედებებსა და მოთხოვნებს. დოკუმენტში ასევე აღწერილია ზედამხედველობის მოწყობის ორგანიზაციული სტრუქტურა და საზედამხედველო პროცესი. ბოლო თავში შეფასებულია მაკროპრუდენციული პოლიტიკის როლი სისტემის მასშტაბით საზედამხედველო პოლიტიკისა და მიმართულებების შემუშავებაში.

## რისკების შეფასების პროცესი

GRAPE პროგრამის ფარგლებში, ფასდება თითოეული კომერციული ბანკის *პოტენციური ზეგავლენა* და *რისკები*.

### პოტენციური ზეგავლენა

პოტენციური ზეგავლენა განსაზღვრავს კომერციული ბანკის პოტენციური ფინანსური სიმძლევებით გამოწვეულ შედეგებსა და მათ შესაძლო ასახვას მთლიანად ფინანსური სექტორის სტაბილურობაზე. აღნიშნული ზეგავლენა ასოცირდება კომერციული ბანკის სისტემურობასთან. მისი ციფრობრივი გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვა საზომით, რომელიც ბანკის სისტემურობასთან არის კორელაციაში. კომერციული ბანკის სისტემურობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია ინსტიტუტის ხვედრითი წილი ფინანსურ ბაზარზე, მაგალითად, დეპოზიტების ბაზარზე ან სასესხო ბაზარზე, ან თუნდაც მთლიანი აქტივების მიხედვით. თუმცა, გარდა ფინანსური სიდიდის მაჩვენებლებისა, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც. მაგალითად, შესაძლოა, ბანკი არ იყოს დიდი აქტივების მიხედვით, მაგრამ გარკვეულ საბანკო მომსახურების ბაზარზე უნიკალური სეგმენტი ეკავოს და მისი სწრაფი ჩანაცვლება სხვა ბანკებით შეუძლებელი იყოს. თუ ბაზრის ეს სეგმენტი ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია, მაშინ ბანკის სისტემურობის წონა იზრდება. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკი სხვა დანარჩენ ბანკებთან. შესაბამისად, თუნდაც მცირე ბანკის საფრთხეში ჩავარდნას, შესაძლოა, გადამდები ნეგატიური ეფექტი ჰქონდეს მთლიანი საბანკო სისტემისათვის.

ცალკეული კომერციული ბანკის სისტემური მნიშვნელობის შესაფასებლად ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის რეკომენდაციითა და ევროპის საბანკო უწყების (EBA - European Banking Authority) მიერ შერჩეული მიდგომით, ასევე ადგილობრივი ფინანსური სექტორის მიმდინარე მახასიათებლებითა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული



გამოწვევებით. შედეგად, ეროვნული ბანკი ითვალისწინებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: ზომა, ჩანაცვლების შესაძლებლობა, კომპლექსურობა და ურთიერთკავშირები.

### რისკების შეფასება

რისკების შეფასებისას განისაზღვრება კომერციული ბანკის საერთო რისკის პროფილი და ფასდება რამდენადაა შესაძლებელი მასში ფინანსური სიძნელების წარმოქმნა.

GRAPE-ის ფარგლებში შესაფასებელი რისკის კატეგორიებია: საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯგუფის სტრუქტურა, კორპორაციული მართვა, საერთო რისკი რესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდეგ.

შეფასება გულისხმობს თითოეულ კატეგორიაში ინჰერენტული<sup>7</sup> რისკისა და მისი მიტიგანტების<sup>8</sup> (სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, რისკების მართვა და შიდა კონტროლის მექანიზმები) შეფასებას. ამასთან, თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს რისკის წონა. აღნიშნული წონების ჯამი უნდა უდრიდეს 100%-ს. რისკის წონები ცალკეული კომერციული ბანკისათვის იცვლება მისი ბიზნეს მოდელისა და მოცემული კომერციული ბანკისათვის კონკრეტული რისკის კატეგორიის მნიშვნელობის დონის გათვალისწინებით.

ცხრილში წარმოდგენილია კომერციული ბანკების შესაფასებელი რისკის კატეგორიებისა და შესაბამისი წონების მატრიცა.

ცხრილი 1. კომერციული ბანკების რისკების შეფასების მატრიცა

რისკის კატეგორია	ინჰერენტული რისკი	მიტიგანტები			წმინდა რისკი	რისკის წონა
		სამეთვალყურეო საბჭო	დირექტორატი	რისკების მართვა და შიდა კონტროლის მექანიზმები		
საკრედიტო რისკი	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
ლიკვიდობის რისკი	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
საბაზრო რისკი	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
საოპერაციო რისკი	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
მაკროეკონომიკური გარემო	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
ჯგუფის სტრუქტურა	[1-5]		[1-5]		[1-5]	%
კორპორაციული მართვა			[1-5]			%
საერთო რისკი რესურსებამდე			[1-5]			100%
რესურსები		(პოზიტიური/ნეგატიური გავლენის შეფასება და ქულის კორექტირება)				
საერთო რისკი რესურსების შემდეგ			[1-5]			

შეფასების მატრიცის უჯრებში ივსება რიცხვები 1-დან 5-მდე (რისკის ქულა):

- ინჰერენტული რისკის უჯრებში: 1 ასახავს დაბალ რისკს, 5 მაღალ რისკს.

<sup>7</sup> თანდაყოლილი რისკი

<sup>8</sup> რისკების შემარბილებელი ფაქტორები

- რისკის მიტიგანტის უჯრებში: 1 ასახავს რისკის შემცირების კარგ შესაძლებლობებს და რისკის მართვის მაღალ სტანდარტს, 5 რისკის მართვის ცუდ პრაქტიკას.
- წმინდა რისკი განისაზღვრება ინჰერენტული რისკისა და მიტიგანტის ქულების მარტივი საშუალო არითმეტიკულით.
- კორპორაციული მართვისა და საერთო რისკის კატეგორიებში ფასდება მხოლოდ წმინდა რისკი, ვინაიდან შეუძლებელია ინჰერენტული რისკისა და მიტიგანტის გამიჯვნა.
- შეფასების ბიჯის საორიენტაციო სიდიდეა 0.5.
- საშუალო რისკის კატეგორიას მიეკუთვნება 3 ქულა, შედარებით დაბალი კატეგორიას – ქულები, რომლებიც ნაკლებია 3-ზე, ხოლო შედარებით მაღალი რისკის კატეგორიას – ქულები, რომლებიც მეტია 3-ზე.

ქვემოთ წარმოდგენილია რისკის კატეგორიები და მათი შეფასების კრიტერიუმები.

## 1. საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ასევე აქტივების საკრედიტო ხარისხის გაურესებით მიღებული დანაკარგები. საკრედიტო რისკი ტრადიციული საბანკო საქმიანობის პირობებში კომერციული ბანკისათვის ზარალის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

*ინჰერენტული საკრედიტო რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:*

- ბანკის დაფინანსების სტრატეგია;
- კორპორატიული პორტფელის მახასიათებლები:
  - სექტორები, ვადიანობა, უზრუნველყოფის საშუალებები, ფინანსური კოეფიციენტები;
  - პორტფელის ზრდის დაგეგმილი და ფაქტიური მაჩვენებლები, პორტფელის ზრდის წყაროები;
  - რეზერვები და რისკის სხვა მახასიათებლები;
  - რესტრუქტურისებული და რეფინანსირებული სესხები;
  - არაჰეჯირებული<sup>9</sup> სავალუტო საკრედიტო რისკი (CICR) და მისი ბუფერის მოცულობა ბანკისთვის<sup>10</sup>;
  - კონკურენცია და საპროცენტო განაკვეთები.
- პორტფელის კონცენტრაცია - უმსხვილესი ჯგუფები, უმსხვილესი სექტორები Herfindahl-Hirschman Index (HHI)-ით გაანგარიშებული სახელობითი და სექტორული კონცენტრაცია<sup>11</sup>.
- გარესაბალანსო ვალდებულებები;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები საკრედიტო დანაკარგებთან მიმართებაში.

*მიტიგანტების ნაწილში საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებში, მათ შორის ლიმიტების განსაზღვრასა და მონიტორინგის პროცესებში;

<sup>9</sup> არაჰეჯირებული - სავალუტო რისკისგან დაუცველი.

<sup>10</sup> აღნიშნულის გამოთვლის დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია [„პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესში“](#)

<sup>11</sup> საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის როგორც სახელობითი, ასევე სექტორული რისკების გამოთვლის დეტალური მეთოდოლოგია მოცემულია [„პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესში“](#)



- საკრედიტო რისკების მართვაში ჩართულ კომიტეტებზე გადანაწილებული როლები და პასუხისმგებლობები, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის დელეგირების სისტემები;
- რისკების დირექტორის როლი საკრედიტო რისკის მართვაში;
- საკრედიტო რისკთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები;
- სესხის გაცემის, უზრუნველყოფის შეფასების პრაქტიკა;
- შესაძლო დანაკარგების რეზერვების განსაზღვრისა და მონიტორინგის სისტემები;
- პრობლემური აქტივების მართვის პოლიტიკა;
- საინფორმაციო სისტემები - შიდა და გარე ანგარიშგების ხარისხი;
- შიდა აუდიტის როლი საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ანაზღაურებისა და მოტივაციის სისტემები, როგორც მატერიალური რისკების ამღები პირების, ასევე რისკების დამოუკიდებელი ფუნქციის თანამშრომლებისათვის.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას საკრედიტო რისკის სხვა ელემენტებიც.

## 2. ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე.

*ლიკვიდობის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:*

- ლიკვიდობის რისკის პოზიცია;
- ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა, ხარისხი;
- ვალდებულებების სტრუქტურა, კონცენტრაცია, დინამიკა;
- ლიკვიდობის საგანგებო გეგმა;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები.

*მიტიგანტების ნაწილში ლიკვიდობის რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვითცნობიერებულობა და ჩართულობა ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ლიკვიდობის მართვის ფუნქციებისა და აქტივ-პასივების კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა, შემადგენლობა, კვალიფიკაცია;
- ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები;
- შიდა ლიმიტების არსებობა და მათი კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასებისას, შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას ლიკვიდობის რისკის სხვა ელემენტებიც.

## 3. საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის სხვადასხვა საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი. კერძოდ, გაცვლითი კურსების, პროცენტების, პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების და ინსტრუმენტების ფასების ცვლილებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი მოგება ან ზარალი მოუტანოს კომერციულ ბანკს და მთლიან საბანკო სისტემას. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ გაზარდონ საკრედიტო რისკიც.

*ინჰერენტული საბაზრო რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია: :*

- ღია სავალუტო პოზიცია:
  - საბალანსო სავალუტო პოზიცია;
  - გარესაბალანსო სავალუტო პოზიცია;

- კრებსითი სავალუტო პოზიცია.
- სტრუქტურული პოზიცია;
- საპროცენტო განაკვეთების რისკის პოზიცია
  - საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა;
  - საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა;
  - საპროცენტო გეპის გადაფასების ეფექტი;
  - აქტივებისა და ვალდებულებებიც ვადიანობა.
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები.

*მიტიგანტების ნაწილში საბაზრო რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა საბაზრო რისკთან დაკავშირებულ საკითხებში;
- სავალუტო და საპროცენტო და ბანკისთვის დამახასიათებელი სხვა საბაზრო რისკების მართვის პოლიტიკა-პროცედურები, ჩართული პასუხისმგებელი ერთეულები;
- შიდა ლიმიტების არსებობა, მათი კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეფასდეს საბაზრო რისკის სხვა ელემენტები.

#### 4. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარე ფაქტორების შედეგად გამოწვეული ზარალის რისკი.

*ინჰერენტული საოპერაციო რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:*

- ბანკის ოპერაციების ზომა, კომპლექსურობა, სირთულე;
- აუთსორსინგის პოლიტიკა;
- კიბერ-უსაფრთხოების რისკი;
- ბანკის დამოკიდებულება/მოწყვლადობა საოპერაციო შეფერხებების მიმართ;
- თაღლითობისადმი „მიდრეკილება“;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები

*მიტიგანტების ნაწილში ფასდება:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ საკითხებში;
- საოპერაციო მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები, საოპერაციო დანაკარგების აღრიცხვა-მონიტორინგის სისტემები;
- ბიზნეს უწყვეტობის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და მისი ტესტირება;
- კიბერ-უსაფრთხოების მართვა, შესაბამისი პოლიტიკა-პროცედურების, კონტროლის სისტემები;
- თაღლითობის რისკის ცნობიერება მენეჯმენტის მხრიდან, მისი მართვის პოლიტიკისა და კონტროლის მექანიზმები;
- ბანკის მონაცემების აღრიცხვიანობის/ხარისხიდან მომავალი სიზუსტის რისკის კონტროლის მექანიზმები.

ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო რისკის შეფასებისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სხვა კრიტიკულ სექტორებზე დამოკიდებულება. მაგალითად, ის საოპერაციო რისკები, რომლებიც გამომდინარეობს საფინანსო სექტორის ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე.

## 5. ბიზნეს მოდელი და მომგებიანობა

ბანკის სტრატეგიამ და ბიზნეს მოდელმა შეიძლება, მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი რისკები. ამასთან, მომგებიანობა ბანკების კაპიტალის შიდა ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული რისკების შეფასება.

*მომგებიანობისა და ბიზნეს მოდელის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:*

- ბანკის არსებული ბიზნეს მოდელი;
- ბანკის სტრატეგია და მისი მიღწევადობა;
- ბანკის საბაზო პოზიცია, კონკურენტუნარიანობა, ნიშა;
- ბანკის მომგებიანობა, ნორმალიზებული შემოსავლიანობა და მისი მდგრადობა;
- ძირითად პროდუქტებზე ფასდადების მოდელები;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები ბანკების მომგებიანობაზე.

*მიტიგანტების ნაწილში ფასდება:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა ბანკის ბიზნეს მოდელის განსაზღვრაში, მონიტორინგი ბანკის მომგებიანობის მაჩვენებლებზე.

ბანკის ბიზნეს მოდელისა და მომგებიანობის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

## 6. მაკროეკონომიკური გარემო

მაკროეკონომიკური გარემოს შეფასება გულისხმობს სისტემური ხასიათის რისკების შეფასებას, რომლებიც ზემოქმედებენ ბაზრის ყველა მონაწილეზე და მათგან გადაეცემა რეალური ეკონომიკის სექტორს. სისტემური რისკების სრული განეიტრალება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მათი ზემოქმედების შემსუბუქება საბანკო სექტორზე და მისი მეშვეობით მთლიანად ეკონომიკაზე.

მაკროეკონომიკური გარემოს ბანკზე გავლენის შესწავლის მიზნით, *ინჰერენტული რისკის კატეგორიაში გასათვალისწინებელია:*

- ბანკის ბალანსის სტრუქტურა;
  - საპროცენტო ხასიათის აქტივები და ვალდებულებები;
  - აქტივებისა და ვალდებულებების დოლარიზაცია;
- სასესხო პორტფელის სტრუქტურა - პროციკლური და კონტრციკლური სექტორების წილი და დინამიკა;
- საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგები.

*მიტიგანტის ნაწილში გასათვალისწინებელია:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა მაკროეკონომიკური გარემოსა და ბანკზე მის გავლენასთან დაკავშირებულ საკითხებში;
- მენეჯმენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარების გათვალისწინება;
- ბანკის მიერ სტრეს-ტესტების ჩატარების ხარისხი.

ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა, გაანალიზდეს სხვადასხვა მაკროეკონომიკური გარემოს მახასიათებლის გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

## 7. ჯგუფის სტრუქტურა

კომერციული ბანკების რისკის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მისი ჯგუფის სტრუქტურა, რადგან აღნიშნულზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბანკის რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან, ჯგუფის სხვა წევრებთან მჭიდრო ურთიერთკავშირების სხვადასხვა ფორმებს ბანკის რისკიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, ჯგუფის სტრუქტურის შეფასება რისკების შეფასების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

*ჯგუფის სტრუქტურის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია:*

- მფლობელობის სტრუქტურა
  - აქციონერებისა და ბენეფიციარი მფლობელის კაპიტალის წარმოშობის წყაროები;
  - მფლობელობის კონცენტრაცია და მათი სამომავლო სტრატეგია.
- ბანკის ინვესტიციები
  - განხორციელებული ინვესტიციების მომგებიანობა;
  - სამომავლო საინვესტიციო სტრატეგია.
- ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციები
  - ბანკისა და ჯგუფის წევრებს შორის და შიდაჯგუფური ტრანზაქციები;
  - Moral Hazard<sup>12</sup> რისკი;
  - საზედამხედველო არბიტრაჟის<sup>13</sup> რისკი.
- Contagion risks<sup>14</sup> - ჯგუფის წევრებს შორის კორელაციასთან დაკავშირებული რისკები
  - ფინანსური რისკის გადაცემა;
  - რეპუტაციული რისკი გადაცემა;
  - რეიტინგი.

*მიტიგანტის ნაწილში გაითვალისწინება:*

- სამეთვალყურეო საბჭოს გათვინობიერებულობა და ჩართულობა ზემოთ აღნიშნულ რისკების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებში;
- ჯგუფის დონეზე კორპორაციული მართვის პრაქტიკა.

კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, შესწავლილ იქნას ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

## 8. კორპორაციული მართვა

აღნიშნულ კატეგორიაში ინჰერენტული რისკი და მიტიგანტის შეფასება მოიცავს ერთსა და იმავე ელემენტებს:

- სამეთვალყურეო საბჭო - სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია მთლიანი ინსტიტუტის რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე. საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების წევრების განათლება, გამოცდილება, კვალიფიკაცია, რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კომერციული ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და

<sup>12</sup> ჯგუფის წევრის მიერ დამატებითი რისკების გაწევა (გადაჭარბებული რისკების აღება) სხვა ჯგუფის წევრის დახმარების იმედად.

<sup>13</sup> ბანკის მიერ საქმიანობის ან ტრანზაქციის ისეთი ფორმით/გზით განხორციელება, რომლის შედეგადაც ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების არიდება ან შემსუბუქება.

<sup>14</sup> „გადადების“ რისკი - პრობლემები, რომელიც შეიძლება შეექმნას („გადაედოს“) ბანკს რომელიმე რეგულირებული ან არარეგულირებული ჯგუფის წევრის ან მათი დაკავშირებული მხარისგან, მათ შორის აფილირებული, ტრასტის ან სხვა საწარმოებისგან. აღნიშნული გულისხმობს ბანკზე როგორც ფინანსური სირთულეების, ასევე რეპუტაციული და სამართლებრივი რისკების გადადებას.

კომპლექსურობას. საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული აღმასრულებელი მენეჯმენტის მონიტორინგის პროცესებში. შესაბამისად, ამ ქვეკატეგორიის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი საკითხები:

- საბჭოს წევრების შემადგენლობა - მათი ინდივიდუალური და ჯამური შესაფერისობა, დამოუკიდებელი წევრების არსებობა ბანკის საქმიანობასთან და მასშტაბთან;
- საბჭოს თავმჯდომარის როლი;
- ინტერესთა კონფლიქტი და დომინანტი პირის (key person risk);
- საბჭოს პასუხისმგებლობა, ჩართულობა და ეფექტიანობა;
- საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების, მათ შორის, აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება და ეფექტიანობა.
- დირექტორატი - დირექტორატი პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე. დირექტორატს შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, პოლიტიკების გაუმჯობესებასა და საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიის დანერგვაზე. დირექტორატი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რისკის მართვის სისტემის შესაფერისობასა და ეფექტიანობაზე. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში, ასევე დირექტორატის შესაფერისობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული წევრის, ასევე ჯამურად, მათი შესაფერისობა ბანკის საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ქვეკატეგორიის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:
  - დირექტორატის შემადგენლობა, როლები და პასუხისმგებლობები, მათ შორის ფორმალური დელეგირების სისტემები;
  - კვალიფიკაცია - შესაფერისობის კრიტერიუმებთან ინდივიდუალური და ჯამური შესაბამისობა;
  - ინტერესთა კონფლიქტი და დომინანტი პირის.
- რისკების მართვა და შიდა კონტროლი - რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტიანობაში სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა განისაზღვრება ძირითადი რისკების სტრატეგიის დამტკიცებითა და ბიზნეს გარემოს ცოდნით. რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმები დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის მასშტაბებთან, ზომასთან და ოპერაციებთან. შესაბამისად, ამ ქვეკატეგორიის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:
  - რესურსების ადეკვატურობა და დამოუკიდებლობა;
  - ოთხი თვალის პრინციპი;
  - ინტერესთა კონფლიქტის მართვა;
  - საბჭოსთან და მენეჯმენტთან რისკების მართვაზე შიდა ანგარიშების სისტემები;
  - შიდა აუდიტისა და შესაბამისობის მართვის სამსახურის (Compliance) ეფექტიანობა.
- ანაზღაურების და მოტივაციის სისტემა - ანაზღაურებისა და მოტივაციის სისტემა მუდმივ შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკის რისკის აპეტიტთან. აღნიშნული სისტემები ყველა რგოლზე არ უნდა აჩენდეს გადაჭარბებული რისკების აღების მოტივაციას. მნიშვნელოვანია, რომ მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურების დიდი ნაწილი იყოს ცვალებადი და მათი გადახდა დამოკიდებული იყოს აღებული რისკების მატერიალიზებაზე. დამოუკიდებელი ფუნქციების ანაზღაურება საშუალებას უნდა იძლეოდეს კვალიფიციური და ადეკვატური რესურსების შენარჩუნებისათვის.



- კორპორაციული მართვის სხვა ელემენტები შესაფასებელი იქნება კომერციული ბანკის სპეციფიკიდან გამომდინარე.

9. საერთო რისკი რესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდგომ

კომერციული ბანკების თითოეული რისკის კატეგორიის შეფასებაში მიღებული ქულისა და წონის გადამრავლების შეკრება იძლევა საერთო რისკის ქულას რესურსებამდე. აღნიშნულის შემდგომ ხდება კომერციული ბანკების რესურსების ანალიზი. რესურსებზე წვდომა, რისკების რეალიზაციით მიღებული ზარალის გაუვნებელყოფის მნიშვნელოვან წყაროს წამოადგენს. ანალიზისას ყურადღება ექცევა, თუ რა რესურსებზე აქვს ბანკს პოტენციური წვდომა უარყოფითი ტენდენციების განვითარების შემთხვევაში. აღნიშნულში შეიძლება, გათვალისწინებულ იქნას სტრესულ სიტუაციაში ძირითადი აქციონერის ან ბენეფიციარი მფლობელის ისტორიული ან პოტენციური მხარდაჭერა. ასეთი რესურსების არსებობა დამატებით წყაროს წამოადგენს მოულოდნელი ზარალის დაფარვისა და ბანკის საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელების უზრუნველყოფისთვის. რესურსების გაანალიზების შემდგომ, განისაზღვრება კომერციული ბანკების საერთო რისკის პროფილი - ბანკის საერთო რისკი რესურსების შემდგომ.

საზედამხედველო სტრეს ტესტების როლი შეფასებაში

როგორც რისკების კატეგორიებშია მითითებული, თითოეული ინჰერენტული რისკის ანალიზი ასევე მოიცავს საზედამხედველო სტრეს ტესტების შედეგების ანალიზს. არსებული ჩარჩოს მიხედვით, საზედამხედველო სტრეს ტესტი<sup>15</sup> ტარდება მთლიანად ბანკის დონეზე (Enterprise-level stress) და ხდება ბანკის მთლიან ფინანსურ მდგომარეობაზე სხვადასხვა შოკისა და მათთან ურთიერთდაკავშირებული ეფექტის შეფასება. სტრეს ტესტები გამოიყენება როგორც რისკების შეფასების პროცესში, ასევე დამატებითი კაპიტალის მოთხოვნის განსაზღვრისათვის პილარ 2-ის ფარგლებში. თითოეული რისკის შეფასებისას გამოიყენება სტრეს ტესტის შედეგების ის ნაწილი, რაც კონკრეტული რისკის კატეგორიისათვის არის რელევანტური. მაგალითად, თუ სტრეს ტესტების ფარგლებში საპროცენტო რისკის მიმართ მნიშვნელოვანი სენსიტიურობა გამოვლინდა, ეს აისახება საბაზრო რისკის ინჰერენტული ნაწილის შეფასებისას.

საზედამხედველო სტრეს ტესტებისა და მთლიანად GRAPE-ის შეფასების შედეგად განსაზღვრულ საზედამხედველო ღონისძიებების შორის ურთიერთკავშირზე, იხ. [საზედამხედველო ღონისძიებების ნაწილი](#).

შეფასებაში გამოყენებული კრიტერიუმები

თითოეული რისკის კატეგორიის შეფასებისას ხდება ბანკში არსებული პრაქტიკის საუკეთესო პრაქტიკასთან შედარება. ამ მიზნით გამოიყენება აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკისა და მოწინავე მიდგომების გამოყენება, მათ შორის:

- ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის (BCBS) „საბანკო ზედამხედველობის ძირითადი პრინციპებისა“ და სხვადასხვა რისკზე გამოცემული სტანდარტები (მაგ. კორპორაციული მართვის შეფასებისას გამოიყენება [„კორპორაციული მართვის პრინციპები ბანკებისათვის“](#));

<sup>15</sup> იხ. საზედამხედველო სტრეს ტესტების შესახებ ინფორმაცია სებ-ის [2013 წლის წლიურ ანგარიშში](#) (ჩანართი 3 - საზედამხედველო სტრეს ტესტების მეთოდოლოგია ბანკებისთვის).



- CAMEL –ის შეფასების ჩარჩოს სახელმძღვანელოს შესაბამისი კომპონენტები (მაგ. კორპორაციული მართვის შეფასებისას გამოიყენება მენეჯმენტისა და აუდიტის შეფასების დოკუმენტები);
- ფინანსური სტაბილურობის საბჭოს (FSB) პრინციპები (მაგ. კორპორაციულ მართვაში ანაზღაურების ქვეკომპონენტის შეფასებისას გამოიყენება FSB-ის [„ჯანსაღი კომპენსაციის პრაქტიკის პრინციპები“](#));
- ევროპის ცენტრალური ბანკისა (ECB) და ევროპის საბანკო ორგანოს (EBA) სტანდარტები (მაგ. ლიკვიდობის რისკის შეფასებისას გამოიყენება EBA-ს [ლიკვიდობის და დაფინანსების რისკის შეფასების მეთოდოლოგია](#) და ECB-ს [ლიკვიდობის რისკის დოკუმენტი](#));
- ავსტრალიის პრუდენციული საზედამხედველო ორგანოს (APRA) ფინანსური ინსტიტუტების შეფასების შესაბამისი მოდულები;
- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პრინციპები და სტანდარტები (მაგ. კორპორაციული მართვის შეფასებისას გამოიყენება OECD-ის [კორპორაციული მართვის პრინციპები](#));
- სხვადასხვა მოწინავე ქვეყნის პრაქტიკა.

რესურსების ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის მიზნებისათვის, როგორც [შეფასებიდან შეფასებამდე პროცესში](#), ასევე [რისკების შეფასებისას](#), ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობს გარე პირებთან – აუდიტორებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სარეიტინგო კომპანიებთან, საერთაშორისო ანალიტიკოსებთან, სამინისტროებთან და ა.შ. გარე წყაროებზე/კვლევებზე დაყრდნობა მნიშვნელოვნად ზოგავს ზედამხედველების სამუშაო რესურსსა და მათი პოტენციური რისკების იდენტიფიცირებაზე მიმართვის შესაძლებლობას იძლევა.

### საზედამხედველო ყურადღების დონე

ბანკების რისკებისა და მათი პოტენციური ზეგავლენის შეფასებების შედეგად, განისაზღვრება საზედამხედველო ყურადღების დონე და ხდება მიდგომების ჩამოყალიბება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. საზედამხედველო ყურადღების დონე

პოტენციური ზეგავლენა	რისკების შეფასების შედეგები				
	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
ექსტრემალური	წითელი	ყვითელი	ყვითელი	წითელი	წითელი
მაღალი	წითელი	ყვითელი	ყვითელი	წითელი	წითელი
საშუალო	წითელი	ყვითელი	ყვითელი	წითელი	წითელი
მცირე	წითელი	ყვითელი	ყვითელი	წითელი	წითელი

- ნორმალური
- საყურადღებო
- გასაუმჯობესებელი
- რესტრუქტურისაცია


## საზედამხედველო ღონისძიებები

საზედამხედველო ყურადღების დონე განსაზღვრავს, როგორც გასატარებლ საზედამხედველო ქმედებებს, ასევე გავლენას ახდენს საზედამხედველო რესურსების განაწილებაზე კონკრეტული ბანკისა და რისკების მიხედვით.

## საზედამხედველო ქმედებები

რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობა უწყვეტი პროცესია და მოიცავს რისკების შეფასებას, საზედამხედველო სტრატეგიის განსაზღვრას შეფასებული რისკების მიხედვით და საზედამხედველო ქმედებების განხორციელებას რისკების შესამცირებლად.

ილუსტრაცია 1. საზედამხედველო პროცესი



საზედამხედველო ქმედების მიზანია შეფასებაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრა, სხვადასხვა რისკის კატეგორიის დონეების შემცირება ან კომერციული ბანკებისათვის მაღალი რისკის მიტიგაციისათვის საჭირო რესურსების ოდენობის გაზრდის მოთხოვნა. ეს უკანასკნელი გულისხმობს საზედამხედველო კაპიტალის ზრდას იმ რისკებისათვის, რომლებსაც სათანადოდ არ მოიცავს პილარ 1<sup>16</sup>.

საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა შესაძლებელია, განხორციელდეს უწყვეტი საზედამხედველო ციკლის ნებისმიერ ფაზაში, იქნება ეს ბანკის საერთო რისკის, თუ ცალკეული რისკის კატეგორიის შეფასება, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიღების შედეგად, რასაც ეროვნული ბანკი ჩათვლის დროული რეაგირების საგნად.

## პილარ 2

ვინაიდან პილარ 2<sup>17</sup>-ის ფარგლებში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრა ეფუძნება საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესს. შესაბამისად, მასში გაითვალისწინება რისკების შეფასება და მისი შემადგენელი ნაწილები, მათ შორის საზედამხედველო სტრატეგის ტესტების შედეგები.

<sup>16</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის 100/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ II-IX თავებით განსაზღვრული კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებისათვის.

<sup>17</sup> კაპიტალის დამატებითი მოთხოვნები იმ რისკებისათვის, რომელსაც არ მოიცავს პილარ 1 და ეფუძნება საზედამხედველო განხილვისა და შეფასების პროცესს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის 176/04 ბრძანებით დამტკიცებული [„პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი“](#).

როგორც ცნობილია, საზედამხედველო სტრეს ტესტებით განსაზღვრება დამატებითი კაპიტალის ოდენობა, რომელიც, საზედამხედველო სტრეს ტესტებში განსაზღვრული სცენარებისა და რისკ-ფაქტორების რეალიზების შემთხვევაში, დანაკარგების მიღების მიუხედავად, უზრუნველყოფს ბანკის დაცვას საზედამხედველო დეფოლტისაგან<sup>18</sup>. ამასთან, საზედამხედველო სტრეს ტესტების სცენარებს თანაკვეთა აქვს ზემოთ აღწერილ შესაფასებელი რისკების კატეგორიებთან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, საზედამხედველო სტრეს ტესტებით მიღებული კაპიტალის ოდენობაში მსგავსი თანაკვეთების ასახვა, რათა არ მოხდეს ერთი და იმავე რისკისათვის კაპიტალის მრავალჯერადად მოთხოვნა. ამ მიზნით, საზედამხედველო სტრეს ტესტებით მიღებული კაპიტალის მოთხოვნიდან იქვითება (სრულად ან ნაწილობრივ<sup>19</sup>) საკრედიტო რისკის კატეგორიაში შემავალი ისეთი ნაწილები, როგორებიცაა: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკისთვის განსაზღვრული კაპიტალი, საკრედიტო კონცენტრაციის რისკისთვის განსაზღვრული კაპიტალის ნაწილი. ამასთან, საზედამხედველო სტრეს ტესტების მოთხოვნები უნდა შემცირდეს კონსერვაციისა და კონტრცეკლური ბუფერების მოთხოვნებით.


ერთი და იმავე რისკისათვის კაპიტალის მრავალჯერადად მოთხოვნის აღმოფხვრის შედეგად, თითოეული ბანკისათვის განისაზღვრება წმინდა სტრეს ტესტებისა და წმინდა GRAPE-ის კაპიტალის მოთხოვნები. საზედამხედველო სტრეს ტესტების სრულყოფილად დანერგვის პირობებში, მოსალოდნელია, რომ მისი სცენარებით სრულად იქნება მოცული პილარ 2-ის ყველა რისკი და შესაბამისი კაპიტალის მოთხოვნები. შედეგად, წმინდა GRAPE ბუფერის მოცულობა საზედამხედველო სტრეს ტესტების დანერგვის შემდეგ შეიძლება ნულს უდრიდეს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ბანკის შემთხვევაში შესაძლოა, გაზრდილი იყოს ისეთი რისკები (მაგალითად, კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული რისკები), რომლებსაც სათანადოდ არ ფარავს საზედამხედველო სტრეს ტესტების ჩარჩო. ასეთ შემთხვევაში, მსგავსი რისკების მიტიგაცია უნდა მოხდეს წმინდა GRAPE ბუფერის მეშვეობით.

ილუსტრაცია 2. საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნის განაწილება

---

<sup>18</sup> მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს დამატებული სისტემურობის ბუფერი

<sup>19</sup> აღნიშნული დამოკიდებულება იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილად ითვალისწინებს საზედამხედველო სტრეს ტესტის სცენარი მოცემული რისკების რეალიზაციას.



### რესურსების განაწილება

საზედამხედველო ყურადღების დონის მიხედვით ხდება საზედამხედველო გეგმის განსაზღვრა და შესაბამისი რესურსების განაწილება. საზედამხედველო გეგმა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ფუნქციის მიმდინარე დღის წესრიგს წარმოადგენს და ასახავს შესაფასებელ კომერციულ ბანკებსა და რისკის კატეგორიებს პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. საზედამხედველო გეგმაც იცვლება საზედამხედველო ყურადღების დონის ცვლილებების შესაბამისად. გეგმის მიხედვით, რისკების შეფასებაში ჩართული რესურსების განაწილება, საზედამხედველო ყურადღების დონესთან ერთად, დამოკიდებულია რესურსების დატვირთულობასა და შესასრულებელი სამუშაოს კომპლექსურობაზე. ეროვნული ბანკის სტრუქტურული მოწყობა უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურად განაწილებას რისკზე დაფუძნებული პრინციპების გათვალისწინებით.

### რისკებზე დაფუძნებული სტრუქტურული მოწყობა


ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციის ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს საფინანსო სისტემაში ბანკების რაოდენობას და მათი საქმიანობის მასშტაბებს. კერძოდ, საზედამხედველო ფუნქციების ოპტიმიზაციის მიზნით, მასში გათვალისწინებულია რესურსების სპეციალიზაციისა და ოთხი თვალის პრინციპები:

- რესურსების სპეციალიზაცია ბანკის ზედამხედველებად და რისკის ზედამხედველებად განაწილება:
  - ბანკის ზედამხედველებს (საბანკო ზედამხედველობა) აქვთ ჯამური სურათი კონკრეტული ბანკის ყველა რისკზე;
  - რისკების ზედამხედველებს (სპეციალიზებული ჯგუფები) აქვს სპეციალიზებული ცოდნა კონკრეტულ რისკზე ყველა ბანკისათვის და ჯამურად საბანკო სექტორისთვის;

- ოთხი თვალის პრინციპი - თითოეული მატერიალური შემთხვევის გაანალიზება ხდება ზემოთ მოცემული ორი ჯგუფის, სულ მცირე, ორი წარმომადგენლის მიერ, რაც უზრუნველყოფს ოთხი თვალის პრინციპის მაქსიმალურ დაცვას.

მოცემული პრინციპების გათვალისწინებით, კომერციული ბანკების ზედამხედველობის ფუნქციას საბანკო ზედამხედველობის და სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტები ასრულებენ (იხ. ილუსტრაცია 3).

ილუსტრაცია 3. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია



საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის განყოფილებებში ბანკების ზედამხედველები პასუხისმგებელი არიან კონკრეტული ბანკის ყველა რისკის ჯამური სურათის ფლობაზე, ხოლო სპეციალიზებული ჯგუფებისა და საზედამხედველო პოლიტიკის დეპარტამენტის სხვადასხვა რისკზე სპეციალიზებული განყოფილებები პასუხისმგებლები არიან სისტემის მასშტაბით კონკრეტული რისკის მონიტორინგსა და შეფასებაზე. საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტში კონკრეტული ბანკის ზედამხედველი ყოველდღიურ რეჟიმში ბანკთან ურთიერთობისა და მათი ოპერაციებისა და ანგარიშგებების მონიტორინგის საფუძველზე აფასებს მათ ცალკეულ რისკს, საერთო რისკის კატეგორიებს და წარადგენს წინადადებებს პრუდენციული ნორმების დაწესებისა და საზედამხედველო ქმედებების განხორციელების თაობაზე. სპეციალიზებული რისკის ჯგუფები, გარდა კონკრეტული რისკის შეფასება-მონიტორინგისა, ასევე პასუხისმგებელი არიან შესაბამისი რისკის კატეგორიების გაანალიზების მეთოდოლოგიის მუდმივ დახვეწაზე. კერძოდ:

- მცირე და საშუალო და კორპორატიული საკრედიტო რისკების განყოფილება აკონსოლიდირებს კორპორატიული პორტფელის საკრედიტო რისკებს. ასევე, მუშაობს მოცემული რისკის კატეგორიის შეფასების მეთოდოლოგიაზე.
- საცალო საკრედიტო რისკების განყოფილება აფასებს საცალო საკრედიტო რისკებს, ბანკებისა და სექტორის მასშტაბით, და უზრუნველყოფს მოცემული მიმართულებით რისკის შეფასების მეთოდოლოგიას.
- ფინანსური რისკებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის განყოფილება აფასებს საბანკო სისტემის ლიკვიდობის, საბაზრო, მაკროეკონომიკურ რისკებს, ბანკების ბიზნეს მოდელსა და შემოსავლიანობა/მომგებიანობას. განყოფილება ასევე უზრუნველყოფს აღნიშნულ რისკის კატეგორიებთან დაკავშირებული საზედამხედველო ჩარჩოს განვითარებას.
- საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილება აფასებს ბანკების საოპერაციო რისკებს, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის შენახვის სისტემის გამართულობასა და უსაფრთხოებას. ის ასევე აგროვებს და ამუშავებს ბანკებიდან მიღებულ რეგულარულ ანგარიშგებებს. განყოფილება ასევე მუშაობს საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული საკითხების შეფასების მეთოდოლოგიასა და ბანკებისათვის საზედამხედველო მოთხოვნების შემუშავებაზე.
- კორპორაციული მართვისა და საზედამხედველო პოლიტიკის განყოფილება აფასებს ბანკების კორპორაციული მართვის პრაქტიკას, ჯგუფის სტრუქტურის სიძლიერეს და კომერციული ბანკების რესურსებს. განყოფილება ასევე უზრუნველყოფს ზედამხედველობის ზოგადი ჩარჩოს საერთაშორისო პრაქტიკის მონიტორინგსა და საქართველოში დანერგვის პროექტების კოორდინაციას. განყოფილება პასუხისმგებელია საზედამხედველო პოლიტიკის მუდმივ დახვეწაზე.

## რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო პროცესი

საზედამხედველო პროცესის ორგანიზება მიმდინარეობს საზედამხედველო გეგმის მიხედვით, რომელშიც, განსაზღვრული ბანკებისა და შესაფასებელი რისკების მიხედვით, ჩართული არიან როგორც ბანკის ზედამხედველები, ასევე რისკის ზედამხედველები, შეფასების ავტორისა და თანაავტორის პრინციპით (prepare/review). კერძოდ, შეფასების ავტორი (საბანკო ზედამხედველობის ან სპეც. ჯგუფების წარმომადგენელი) ახორციელებს კონკრეტული ბანკის კონკრეტული რისკის კომპლექსურ შეფასებას, რომელიც მოიცავს ისეთ სამუშაოებს, როგორებიცაა: ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, რისკის წარმომშობი წყაროების იდენტიფიცირება, მათი კომპლექსური შეფასება, ბანკთან კომუნიკაცია, რისკების მიტიგაციის მიზნით, საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია შეფასების თანაავტორის არსებობა, რომელსაც იმის მიხედვით, თუ რომელი დეპარტამენტიდანაა (საბანკო ზედამხედველობის ჯგუფიდან თუ სპეც. ჯგუფებიდან), აქვს სპეციფიური ცოდნა ბანკზე ან რისკზე.

ილუსტრაცია 4. ბანკის ზედამხედველებისა და რისკის ზედამხედველების სამუშაო პროცესი



რისკი/საბანკო ჯგუფები	საბანკო ჯგუფი #1	საბანკო ჯგუფი #2	საბანკო ჯგუფი #3	...	სისტემური რისკი
მცირე და საშუალო და კორპორატიული საკრედიტო რისკების ჯგუფი					მცირე და საშუალო და კორპორატიული საკრედიტო რისკის რეგისტრაცია; რისკის თავმოყრა (stocktaking).
სადასავალო საკრედიტო რისკების ჯგუფი		...	...	...	სადასავალო საკრედიტო რისკის რეგისტრაცია; რისკის თავმოყრა (stocktaking).
საბაზრო რისკის ჯგუფი		დავალემა - საბაზრო რისკის შეფასება - ავტორი (თანაავტორი (review))	დავალემა - საბაზრო რისკის შეფასება - თანაავტორი (review)/ ავტორი	...	საბაზრო რისკის რეგისტრაცია; რისკის თავმოყრა (stocktaking).
საოპერაციო რისკების ჯგუფი		...	...	...	საოპერაციო რისკის რეგისტრაცია; რისკის თავმოყრა (stocktaking).
კორპორატიული მართვის ჯგუფი		...	...	...	კორპორატიული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის რეგისტრაცია; რისკის თავმოყრა (stocktaking).
მაკროეკონომიკური რისკების ჯგუფი		...	...	...	მაკროეკონომიკური რისკის რეგისტრაცია; რისკის თავმოყრა (stocktaking).
...	...	...	...	...	...
...	ბანკი #1-ის რისკის თავმოყრა (stocktaking).	ბანკი #2-ის რისკის თავმოყრა (stocktaking).	ბანკი #3-ის რისკის თავმოყრა (stocktaking).	...	...


**სისტემაზე ორიენტირებული ხედვა**

**ბანკზე ორიენტირებული ხედვა**

მაკროეკონომიკური რისკის თავმოყრისას (stocktaking). გამოიყენება ბანკებისა და რისკების ჯგუფების შეფასებები და სხვადასხვა წყაროები. მათ შორის ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ჯგუფის მასალები.

ზედამხედველობის დეპარტამენტსა და სპეციალიზებულ ჯგუფების დეპარტამენტს შორის როგორც შეფასების, ასევე ზედამხედველობის პროცესებში ინფორმაცია იცვლება რეგულარულად.

ილუსტრაცია 5. საზედამხედველო გეგმა



შეფასების პროცესში ორივე დეპარტამენტის მხრიდან მინიმუმ ორი მონაწილის არსებობა უზრუნველყოფს როგორც ბანკებს შორის თანმიმდევრულ მიდგომას, ასევე ოთხი თვალის პრინციპის დაცვას. კერძოდ, შეფასებისას ხდება მსგავსი მახასიათებლის მქონე ბანკის ანალოგიური შეფასების გათვალისწინება და მთლიანი საბანკო სექტორის საშუალო

მაჩვენებლებთან შედარება. თითოეული ბანკის ყველა რისკის შეფასების შემდეგ ხდება მათი თავმოყრა (stock taking), საერთო შეფასების მიღება და შესაბამის საზედამხედველო ღონისძიებებზე წინადადების მომზადება. საზედამხედველო ღონისძიებების მიზანია სხვადასხვა რისკის კატეგორიის ღონეების შემცირება ან კომერციული ბანკებისათვის მაღალი რისკის მიტიგაციისათვის საჭირო რესურსების ოდენობის გაზრდის მოთხოვნა.

საზედამხედველო ქმედებების განსაზღვრა შესაძლებელია, განხორციელდეს უწყვეტი საზედამხედველო ციკლის ნებისმიერ ფაზაში, ბანკის საერთო რისკის თუ ცალკეული რისკის კატეგორიის შეფასების, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიღების შედეგად, რასაც ეროვნული ბანკი ჩათვლის დროული რეაგირების საგნად.

### შეფასებიდან შეფასებამდე პროცესი

აღსანიშნავია, რომ საზედამხედველო გეგმით (იხ. ილუსტრაცია 5) გაწერილი რისკების შეფასების საბოლოო დასკვნების მომზადებებს შორის (შეფასებიდან შეფასებამდე პროცესი), შეფასების ავტორის მიერ ასევე ხდება ბანკში მიმდინარე მოვლენების მუდმივი ანალიზი. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული ბანკის საკრედიტო რისკის მომავალი შეფასების ავტორია სპეც. ჯგუფების დეპარტამენტის წევრი, შეფასების დასკვნის მომზადებამდე პერიოდშიც, აღნიშნული პირი იკვლევს მოცემული ბანკის საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ მოვლენებს. ასეთი შესწავლის საგანს შეიძლება მიეკუთვნებოდეს შეფასებიდან შეფასებამდე პერიოდში მიმდინარე ცვლილებები ბანკის საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ პოლიტიკა-პროცედურებში, პროდუქტებში, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სხვა.

### მაკროპრუდენციული ხედვა

ინდივიდუალური ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის შეფასებასთან ერთად, GRAPE საზედამხედველო პროცესის განუყოფელი ნაწილია ფინანსური სექტორის სტაბილურობის რისკების ანალიზი და მონიტორინგი. ორგანიზაციის მატრიცული სტრუქტურა მიკრო და მაკროპრუდენციული რეგულირების ეფექტიანი ინტეგრაციის საშუალებას იძლევა. კერძოდ, სპეციალიზებულ ჯგუფს, რომელიც ცალკეულ რისკს აფასებს კომერციულ ბანკებში, აქვს საუკეთესო ხედვა ამ რისკთან დაკავშირებით საბანკო სისტემის მიმდინარე გამოწვევებსა და ტენდენციებზე (იხ. ილუსტრაცია 4).

თითოეულ რისკთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ინფორმაცია თავს იყრის შიდა განხილვებზე სისტემური რისკების იდენტიფიცირების მიზნით, რომელსაც აერთიანებს მაკროპრუდენციული პოლიტიკის განყოფილება და პერიოდულად გააქვს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტზე. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სხვადასხვა მაკროპრუდენციული ინსტრუმენტის გამოყენების თაობაზე.

პრაქტიკაში სისტემური რისკების იდენტიფიცირება ორმხრივად ხდება. კერძოდ, მაკროპრუდენციული პოლიტიკის განყოფილება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ჯგუფთან ერთად მაკრო პარამეტრებისა და ცალკეული ბაზრების ანალიზსაც ახდენს, და, თუკი რომელიმე მაჩვენებლიდან გამოიკვეთება ფინანსურ სექტორზე ნეგატიური გავლენის საფრთხე, ხდება შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება სპეციალიზებულ ჯგუფებთან, რომლებიც შემდეგ ამ ინფორმაციას ინდივიდუალური ბანკის შემოწმებისას იყენებენ, რაც კიდევ უფრო ზრდის სინერგიას სამუშაო პროცესში.